კონსილიუმ
მედულა

მრავალპროფილური კლინიკა
"კონსილიუმ მედულას" ანგარიში

2023/2024 ივნისი

დავით თაბაგარის
სამედიცინო ცენტრი

სარჩევი

შეჯამება	3
აღმასრულებელი საბჭოს მიმართვა	4
მისია, ხედვა და ფასეულობები	5
ძირითადი მიღწევები	7
ფინანსების მიმოხილვა	13
პაციენტების ისტორია	15
ხარისხი და უსაფრთხოება	19
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ინიციატივები	22
მომავლის ხედვა	26

შეჯამება

2023 წლის 26 მაისს კლინიკა „კონსილუმ მედულა“ 20 წლის გახდა. კლინიკა მუდმივი ზრდის, წინსვლისა და განვითარების პროცესს გადის. კლინიკის გუნდს არასდროს უღალატია იმ მისიისთვის, რომელიც საქართველოში პაციენტთა მკურნალობის უმაღლესი სტანდარტის უზრუნველყოფას გულისხმობს, რისთვისაც "კონსილიუმ მედულა” მუდმივად ნერგავს საუკეთესო სამედიცინო პრაქტიკებს და უწყვეტადაა ჩართული პროფესიული ცოდნის ამაღლების პროცესში.

ეს საიუბილეო წელი კლინიკისთვის მრავალი სიახლითა და მიღწევით იყო გამორჩეული. 2023 წლის ზაფხულში „კონსილიუმ მედულა“ საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების პროცესში ჩაერთო: კლინიკის აკრედიტაციას კანადის საერთაშორისო აკრედიტაციის ორგანო, Accreditation Canada უზრუნველყოფს. თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში, საერთაშორისო ექსპერტები კლინიკაში სამედიცინო მომსახურების ხარისხის, არსებული პროცედურების და ინფრასტრუქტურის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას აფასებენ.

კლინიკის სამედიცინო პერსონალი კვლავ აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში. კლინიკის ექიმები მონაწილეობდნენ საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებში. ტრადიციულად, "კონსილიუმ მედულას" კლინიკურმა ონკოლოგებმა ESMO-ს ("ევროპის ონკოლოგთა საზოგადოების") ყოველწლიურ კონგრესში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც 2023 წლის 20-24 ოქტომბერს მადრიდში გაიმართა. აღსანიშნავია, რომ წელს კონგრესში პირველად მიიღეს მონაწილეობა კლინიკის უმცროსმა ექიმებმა და ექთნებმა.

„კონსილიუმ მედულას“ ერთ-ერთი უმთავრესი ფასეულობა პაციენტზე ორიენტაციაა. ამ მიმართულებით კლინიკა აგრძელებს არა მხოლოდ უმაღლესი სტანდარტების დანერგვას, არამედ ახორციელებს მნიშვნელოვან საკომუნიკაციო კამპანიებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და განათლების კუთხით. მნიშვნელოვანი სიახლეა პაციენტთა საბჭოს დაარსება, საბჭო 2024 წელს შეიქმნა და აქტიურად ჩაერთო კლინიკის პაციენტთა უსაფრთხოებისა და სამედიცინო ხარისხის სხვა მაჩვენებლების გაუმჯობესების პროცესში.

აღმასრულებელი საბჭოს მიმართვა

ძვირფასო პარტნიორებო, თანამშრომლებო და პაციენტებო!

ვაჯამებთ რა 2023/2024 პერიოდს, ჩვენ სიამაყითა და პასუხისმგებლობით წარმოგიდგენთ კლინიკა "კონსილიუმ მედულას" მიღწევებს და მომავლის გეგმებს.

„კონსილიუმ მედულა" უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას და მკურნალობის საუკეთესო შედეგებს ჩვენი პაციენტებისთვის, ეთიკის უმაღლესი სტანდარტების დაცვით.

2024 წელს დასრულდა კლინიკის ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი შენობის სარემონტო სამუშაოების ძირითადი ფაზა. ეს შენობა პაციენტთა მკურნალობისა და მოვლის უმაღლესი სტანდარტების, საუკეთესო სამედიცინო პრაქტიკის, პროფესიული ცოდნის მუდმივი ამაღლებისა და ინოვაციების დამკვიდრების ერთგვარი სიმბოლო იქნება.

აღსანიშნავია ერთი წლის მანძილზე ჩვენი გუნდის ჩართვა საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესში. სიმბოლო იმისა, რომ "კონსილიუმ მედულას" მთავარი ორიენტირი ყოველთვის იყო და იქნება ხარიხის მუდმივი გაუმჯობესება, პაციენტზე ზრუნვა, უწყვეტი განვითარება და სწრაფვა სიახლეებისადმი.

ჩვენ გვწამს, რომ კლინიკის გუნდის თითოეული წევრი ფლობს იმ ცოდნასა და უნარებს, რაც უზრუნველყოფს პაციენტთა საუკეთესო მკურნალობას და სანიმუშო მოვლას. განსაკუთრებით გვახარებს ჩვენი პაციენტებისაგან მიღებული შეფასებები, სადაც ისინი მადლიერებით აღნიშნავენ კლინიკის ექიმებისა და პერსონალის უმაღლეს პროფესიონალიზმსა და ემპათიურობას.

ჩვენ მიზნად დავისახეთ, ვაქციოთ "კონსილიუმ მედულა" წამყვან საუნივერსიტეტო კლინიკად, საქართველოს უნივერსიტეტთან თანამშრომლობა უნდა გახდეს სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების ქვაკუთხედი. ჩვენი პარტნიორობა დაეფუძნება ინოვაციებს, ცოდნის გაზიარებასა და პაციენტთა მკურნალობის შედეგის გაუმჯობესებას ახალი მეთოდებითა და მიდგომებით.

განვითარების ამ ახალ მიჯნაზე, ჩვენ კვლავ "კონსილიუმ მედულას" მისიის ერთგული ვრჩებით: ვიყოთ ჩვენი პაციენტებისათვის საიმედო პარტნიორი, უზრუნველვყოთ მათთვის სამედიცინო მომსახურების უმაღლესი სტანდარტი, მუდმივად დავნერგოთ ინოვაციები და განვამტკიცოთ ნდობა, რომელსაც ჩვენი პაციენტები გვიდასტურებენ.

დავით თაბაგარი
დამფუძნებელი

ნიკოლოზ ფრუიძე
დირექტორი

ანა ბოლქვაძე
კლინიკური და ხარისხის დირექტორი

მარიამ თაბაგარი
განვითარებისა და კომუნიკაციის დირექტორი

ნინო ებრალიძე
ფინანსური დირექტორი

ირაკლი არდაშელია
საოპერაციო დირექტორი

მისია, ხედვა და ფასეულობები

მისია

პაციენტთა მკურნალობისა და მოვლის უმაღლესი სტანდარტის უზრუნველყოფა საუკეთესო სამედიცინო პრაქტიკის დანერგვის და პროფესიული ცოდნის ამაღლების გზით.

ხედვა

ვიყოთ პაციენტთა და მათი ოჯახების ურყევი მოკავშირე: ყველაზე სანდო, ემპათიური და მზრუნველი კლინიკა, რომელთან თანამშრომლობაც სამედიცინო დახმარებას სცილდება.

ვიყოთ სანდო და სასურველი პარტნიორი:

- უნივერსიტეტისა და მისი სტუდენტებისთვის: უზრუნველვყოთ დინამიური და მდიდარი სასწავლო გარემო პრაქტიკული გამოცდილებისა და უახლესი პრაქტიკის გაცნობის საშუალებით, აღვზარდოთ თანამგრძნობი და მცოდნე ექიმების ახალი თაობა.
- ფარმაცევტული, საკონტრაქტო კვლევითი ორგანიზაციებისთვის და სადაზღვევო ორგანიზაციებისთვის: სტანდარტებისა და ინოვაციური მიდგომებისადმი ერთგულებით ერთად შევძლოთ სამედიცინო მეცნიერებაში წინსვლა და პაციენტის მკურნალობის შედეგების გაუმჯობესება.

ვიყოთ საუკეთესო დამსაქმებელი: ჩვენს კლინიკაში დასაქმება უნდა ნიშნავდეს პროფესიულ წინსვლას, კეთილდღეობის მუდმივ გაუმჯობესებას, სტაბილურობასა და მნიშვნელოვანი საქმის ღირსეულად კეთებას.

ფასეულობები

ორიენტაცია პაციენტზე : პაციენტი "კონსილიუმ მედულას" მთავარი ორიენტირია. ყველაფერი, რასაც ვამბობთ, ვგეგმავთ და ვაკეთებთ, კეთდება პაციენტისთვის, მისი ჯანმრთელობისთვის, მისი სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის, მისი განათლებისა და ინფორმირებისთვის, სიმშვიდისა და მხარდაჭერისთვის.

ორიენტაცია პერსონალზე : "კონსილიუმ მედულას" მთავარი ფასეულობა მისი პერსონალია. კლინიკის ამოცანაა, შექმნას უნარ-ჩვევების, ცოდნის და შესაძლებლობების რეზერვი. "კონსილიუმ მედულა" უზრუნველყოფს თითოეული თანამშრომლის ჩართულობას უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესში საუნივერსიტეტო აკადემიური საქმიანობით, რათა მათ შეიძინონ ახალი კომპეტენცია და უნარ-ჩვევები, შედეგად, გაძლიერდეს პაციენტზე ორიენტაცია, მუდმივად ამაღლდეს კლინიკის სანდოობა და რეპუტაცია.

ორიენტაცია ხარისხზე : „კონსილიუმ მედულა“ მოწოდებულია უზრუნველყოს უმაღლესი ხარისხის სამედიცინო მომსახურება, დანერგოს დაიგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები და გაზარდოს ხელმისაწვდომობა მოწინავე სამედიცინო სერვისებზე ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ პროგრესი მუდმივ განვითარებას მოაქვს. ჩვენი სწრაფვა ხარისხის გაუმჯობესებისაკენ ნიშნავს ჩვენს გადაწყვეტილებას, დავრჩეთ სამედიცინო მომსახურების ავანგარდში და უზრუნველვყოთ საუკეთესო შედეგები ჩვენი პაციენტებისთვის, ეთიკის უმაღლესი სტანდარტების დაცვით.

ყოველდღიურ საქმიანობაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ შემდეგი ღირებულებებით:

- პატიოსნება — კეთილსინდისიერად და უმაღლესი პროფესიონალიზმით ვაკეთოთ ჩვენი საქმე
- პატივისცემა — პატივისცემით მოვექცეთ და უზრუნველვყოთ თანაბარი შესაძლებლობები
- ემპათიურობა — გვქონდეს უნარი გავიგოთ და გავიზიაროთ ადამიანების განცდები და გრძნობები
- ანგარიშვალდებულება — გავაცნობიეროთ ჩვენი ვალდებულებები და ავიღოთ პასუხისმგებლობა ჩვენს ქმედებებზე
- მუდმივი განვითარება — მუდმივად ვისწრაფოთ გაუმჯობესებისკენ და ღია ვიყოთ სიახლეების მიმართ

ძირითადი მიღწევები

ვამაყობთ, რომ 2023/2024 წლის განმავლობაში ჩვენმა გუნდმა შეძლო მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება როგორც ინფრასტრუქტურული, ისე პაციენტთა ორიენტაციის გაძლიერების, ხარისხის გაუმჯობესებისა და უსაფრთხოების კუთხით.

2023/2024 ივნისისთვის აღსანიშნავია შემდეგი მიღწევები:

მოვემსახურეთ 40'000-მდე პაციენტს

2'600-ზე მეტი განხორციელებული სკრინინგი

2'800'000 USD-ზე მეტი ინვერსიტიცია განხორცილედა ახალი შენობისა აშენებასა და ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივებში

ახალი შენობის მშენებლობის დასრულება

2024 წელს დასრულდა ახალი, ექვსსართულიანი შენობის მშენებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც განთავსდება კლინიკის დიაგნოსტიკური, ამბულატორიული და სტაციონარული სერვისები. ახალი შენობის გახსნით კლინიკას დაემატება სამი საერთაშორისო სტანდარტებით აღჭურვილი საოპერაციო დარბაზი, 37 საწოლი, კომპიუტერული ტომოგრაფიის აპარატი და სხვა დიაგნოსტიკური აღჭურვილობა.



პაციენტთა საბჭოს შექმნა

პაციენტთა და მათი ოჯახის წევრების მრჩეველთა საბჭოს შექმნა "კონსილიუმ მედულას" სტრატეგიული ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს, გახადოს კლინიკა მეტად ორიენტირებული პაციენტსა და მისი ოჯახის წევრებზე, ხელი შეუწყოს პაციენტის უსაფრთხოებისა და სამედიცინო ხარისხის სხვა მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან კლინიკის ყოფილი და ამჟამინდელი პაციენტები.

მოხარული ვართ, რომ პაციენტები აქტიურად ჩაერთნენ კლინიკის საქმიანობაში, მადლობას ვუხდით მათ იმ წვლილისთვის, რომელიც შეაქვთ სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაში.

სამიზნე აუდიტორიასთან წვდომა და ჩართულობა

2023 წელს კლინიკის ძირითადი აქცენტი გაკეთდა:

- კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის მნიშვნელობის და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების შესახებ
- კლინიკის ცნობიერების ამაღლებაზე;
- კლინიკის სამედიცინო მიმართულებების და სერვისების კომუნიკაციაზე;
- კლინიკის სამედიცინო პერსონალის ცნობადობის ამაღლებაზე;
- კიბოს სკრინინგის პროგრამების პოპულარიზაციაზე.



პაციენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები

2024 წელს გააქტიურდა პაციენტთა გამოკითხვის პროცესი. მაისი-ივნისის პერიოდში გამოკითხულია 200-ზე მეტი ამბულატორიული და 100-მდე სტაციონარის პაციენტი. ჯამური შედეგებით კლინიკას გამოკითხულ მომხმარებელთა უდიდესი ნაწილი დადებითად აფასებს.

ამბულატორიული მომსახურებით მოსარგებლე გამოკითხულ პაციენტთა 98%-ზე მეტი მაღალი ან უმაღლესი ქულით აფასებს კლინიკაში მიღებულ სერვისს.



სტაციონარული მომსახურებით მოსარგებლე გამოკიხულ პაციენტთა 98%-ზე მეტი მაღალი ან უმაღლესი ქულით აფასებს კლინიკაში მიღებულ სერვისს.



პაციენტთა კითხვარები განხილულია და დამტკიცებულია კლინიკის ეთიკის კომისიის მიერ. ამბულატორიულ პაციენტთა სატელეფონო გამოკითხვა ტარდება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. სტაციონარული პაციენტები კლინიკიდან გაწერისას ავსებენ კითხვარს, კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი და კონფიდენციალურია.

კლინიკური კვლევები



ვამაყობთ, რომ "კონსილიუმ მედულა" კლინიკური კვლევების სფეროში მოწინავე პოზიციას კვლავ იკავებს და ახორციელებს 24 აქტიურ კლინიკურ კვლევას სხვადასხვა თერაპიულ სფეროში, მათ შორის ნევროლოგიაში, რევმატოლოგიაში, ენდოკრინოლოგიაში და სხვა.

ამასთან, ჩვენს კლინიკაში მიმდინარეობს 10 კლინიკური კვლევა ონკოლოგიაში, რაც ასახავს ჩვენს მისწრაფებას კიბოს მკურნალობის თანამედროვე მეთოდების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ამ სფეროს განვითარების მიმართულებით. კვლევები კრიტიკულად მნიშვნელოვანია ახალი და ეფექტური მკურნალობის მეთოდების დანერგვისთვის, სამედიცინო შედეგების გასაუმჯობესებლად და სამედიცინო მეცნიერების მომავლის ფორმირებისთვის. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სამომავლოდაც დავრჩებით ფარმაცევტული და საკონტრაქტო კვლევითი ორგანიზაციებისთვის სანდო პარტნიორებად.

ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები

გასულ წელს კლინიკაში ხარისხის გაუმჯობესებისაკენ მიმართული არაერთი ინიციატივა განხორციელდა.

ძირითადი ინიციატივები

1. აკრედიტაციის პროცესი

- კლინიკა აქტიურად არის ჩართული თვითშეფასების, პერსონალის ტრენინგის და ხარისხის გაუმჯობესების პროექტებში საჭირო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;
- მუშაობა მიმდინარეობს აკრედიტაციის პროგრამის ყველა სფეროზე, მათ შორის: მმართველობა, რისკების მართვა, ინფექციის პრევენცია და კონტროლი, პაციენტის უსაფრთხოება.

2. პაციენტის უკუკავშირის მექანიზმები

- გაფართოვდა პაციენტების უკუკავშირის არხები, რომლებიც მოიცავს ციფრულ გამოკითხვებს, წინადადების ყუთებს და თვითადმინისტრირებად კითხვარებს;
- გაანალიზდა უკუკავშირით მიღებული ინფორმაცია, პაციენტების მოსაზრებები, განისაზღვრა შესაბამისი ტენდენციები და გამოვლინდა ის სფეროები, სადაც შესაძლებელია ხარისხის გაუმჯობესება.
- შემუშავდა საჩივრების დაფიქსირების პროცედურა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პაციენტის პრობლემების სწრაფად განხილვა და მათთან კომუნიკაცია.

3. კლინიკური პროცესის ოპტიმიზაცია

- ელექტრონული სამედიცინო ისტორიის მორგება საერთაშორისო აკრედიტაციის მოთხოვნებთან, პაციენტის მკურნალობის შედეგების გასაუმჯობესებლად.
- პაციენტის მიღების, გაწერისა და გადაყვანის გამარტივებული პროცესების უზრუნველყოფა ლოდინის დროის შესამცირებლად და პაციენტის ნაკადის გასაუმჯობესებლად;
- გაუმჯობესებული კოორდინაცია განყოფილებებს შორის, რათა უზრუნველყოფილი იყოს პაციენტის მოვლის უწყვეტობა.

4. პერსონალის მომზადება და განვითარება

- პერსონალის საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, რომლებიც ფოკუსირებულია პაციენტის უსაფრთხოებაზე, ხარისხიან მოვლასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე;
- ჩატარდა თემატური ტრენინგები: ცუდი ამბის შეტყობინება, ეთიკის კომიტეტი, ბიოეთიკის საფუძვლები, პაციენტის უფლებები, ტკივილის მენეჯმენტი, საგანგებო სიტუაცია და სახანძრო უსაფრთხოება, ინფექციური კონტროლი, სამედიცინო აპარატურის გამოყენების ინსტრუქტაჟი, სამუშაო ადგილზე ძალადობის პრევენციის მექანიზმი, სექსუალური შევიწროების პრევენციის მექანიზმი, თანამშრომლების საჩივრების მიღებისა და მართვის პროცედურა;
- უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამებში პერსონალის მონაწილეობის წახალისება.

5. შესაბამისობა და სტანდარტები

- ჩატარდა რეგულარული შესაბამისობის შემოწმება და შიდა აუდიტი ჯანდაცვის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების მუდმივი დაცვის უზრუნველსაყოფად. მიღებული იქნა სანებართვო მოწმობები გადაუდებელ, ქირურგიაში, ინტენსიურ მოვლა/რეანიმაციაში და კლინიკურ ონკოლოგიაში.

შედეგები

- **პაციენტის უსაფრთხოების გაუმჯობესება :** საავადმყოფოში შეძენილი ინფექციების საშუალო ეროვნულ მაჩვენებელზე დაბალ ნიშნულზე შენარჩუნება, სამედიცინო შეცდომების ინციდენტების დაფიქსირება და რეაგირება, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს პაციენტის უსაფრთხოებას;

- **პაციენტის კმაყოფილების ზრდა:** გამოკითხვის შედეგების მიხედვით კლინიკამ დაიმსახურა პაციენტების უმაღლესი შეფასება და მიღებული სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილება, რაც ასახავს კლინიკის ერთგულებას მაღალი ხარისხის, პაციენტზე ორიენტირებული მოვლისადმი;

- **აკრედიტაციის მიღწევა:** ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფები, რომლებიც შედგება სხვადასხვა თანამდებობის მქონე პირებისგან. ამ პერიოდში დამტკიცდა სტანდარტული ოპერაციული პროცედურები და პოლიტიკები.

ფინანსების მიმოხილვა

რესურსების ეფექტიანი განაწილებით, საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციითა და ხარისხის გაუმჯობესებაში ინვესტირებით, კლინიკა უზრუნველყოფს პაციენტების მოვლას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ეფექტიანი ფინანსური მონიტორინგი, რისკების შეფასება და, შემდგომში მართვა, კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს უნარს შევინარჩუნოთ და ავამაღლოთ ჯანდაცვის სერვისების მიწოდების სტანდარტები.

ინვესტიციები

2023-2024 წლებში მსხვილი ინვესტიცია განხორციელდა კლინიკის ახალი კორპუსის მშენებლობის და არსებული შენობების ინფრასტრუქტურული განახლების მიმართულებებით, ჯამურმა თანხამ შეადგინა 2 845 000 აშშ დოლარი.



ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები	2023
EBITDA - %	14%
Gross Margin %	34%
Current Ratio	2,82
ROE	11%
ROA	6%

შემოსავლები

2024 წლის მონაცემებით საშუალოდ თვეში 2500 პაციენტმა მიიღო მომსახურება ჩვენს კლინიკაში, აღნიშნული მაჩვენებელი 2023 წელთან შედარებით უფრო მაღალია.





პაციენტების ისტორია

პაციენტზე ორიენტაცია და მისი კეთილდღეობა ჩვენი მთავარი ორიენტირია, შესაბამისად, თითოეული პაციენტის გამარჯვების ისტორია ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს გამარჯვების ისტორიები ჩვენი გუნდის პაციენტებისადმი ერთგულებისა და თავდადების დასტურია.

აქ მოთხრობილი ამბები განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის და ასახავს ჩვენი პაციენტების გამარჯვების ისტორიების მცირე, თუმცა უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

„ჩემი თაობა შეიძლება ბოლო იყოს, რომელსაც საშვილოსნოს ყელის კიბოს დაავადება ექნება. მედიცინა ისე განვითარდა, ჩვენ შეგვიძლია, სულ გავაქროთ ეს დაავადება, თუ ჩვენს შვილებს ვაქცინაციას დროულად გავუკეთებთ.
ჰოდა დავასრულოთ ეს ვერაგი ავადმყოფობა, რომელსაც თუ ადრეულ ეტაპზე აღმოაჩენ, სრულად განკურნება შეიძლება.“

ისტორია იხილეთ: https://medconsilium.ge/ka/blog/11-chemi-gamarjvebis-istoria

„ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორი დამოკიდებულება გექნება ამ დაავადებასთან. შიში ქრება, თუ ექიმებს ენდობი, თუ დაავადებას მყარად დაუდგები. კიბოს დამარცხების ჩემი ისტორია ასეთია.“

ისტორია იხილეთ: https://medconsilium.ge/ka/blog/14-chemi-gamarjvebis-istoria

მიღწევები და აღიარება

"კონსილიუმ მედულას" კლინიკურმა ონკოლოგმა სალომე კორძაიამ წარმატებით ჩააბარა ევროპის კლინიკურ ონკოლოგთა ასოციაციის (ESMO) საკვალიფიკაციო გამოცდა მადრიდში (ესპანეთი). ESMO-ს სერტიფიკატში აღნიშნულია, რომ სალომე კორძაიამ დააკმაყოფილა ყველა კრიტერიუმი და გამოავლინა დარგში საუკეთესო ცოდნა.

მადრიდში გამართულ ESMO-ს ("ევროპის ონკოლოგთა საზოგადოების") ყოველწლიურ კონგრესში 2023 წლის 20-24 ოქტომბერს მონაწილეობდნენ კლინიკა "კონსილიუმ მედულას" კლინიკური ონკოლოგები: **თამთა მახარაძე, ცირა ქორთუა, ელენე დოლმაზაშვილი, სალომე კორძაია, უმცროსი ექიმი ლაშა ხმალაძე და ექთნები: ეკატერინე ყიფიანი, სალომე ფაცაცია და ნინო ყრინტაშვილი.**

ვენაში (ავსტრია) ევროპის რადიოლოგთა საზოგადოების მიერ ორგანიზებულ კონგრესზე კლინიკის რადიოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **გიორგი უბირიამ** და რადიოლოგიის სამსახურის უფროსმა ტექნიკოსმა **თინათინ საითაძემ** წარადგინეს მოხსენება თემაზე:"Imaging features of Pulmonary Complications in Immunotherapy patients",
რომელიც ონლაინ გამოცემა epos.myesr.org-ზე გამოქვეყნდა*.

„კონსილიუმ მედულას“ კლინიკური ონკოლოგები ESMO-ს ("ევროპის ონკოლოგთა საზოგადოების") ყოველწლიურ კონგრესზე. მადრიდი, 2023 წლის ოქტომბერი



რადიოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი და უფროსი ტექნიკოსი რადიოლოგთა საზოგადოების კონგრესზე

*იხ. ბმული https://epos.myesr.org/poster/esr/ecr2024/C-23686

კლინიკის ფსიქიატრი/ფსიქოთერაპევტი თამარ კახნიაშვილი გამორჩეულია თავისი პროფესიული საქმიანობით. თამარი მუდმივად არის ჩართული სამეცნიერო-საგანმანათლებლო თუ ცნობიერების ამაღლების აქტივობებში.



Original Article

IPOS

OPEN

Prevalence of depression in women diagnosed with breast cancer in Georgia

Tamar Kakhniashvili[a,b,*], Nino Okribelashvili[b], Ivane Kiladze[c], Richard Fielding[d]

Abstract

Background: Depression commonly occurs in patients with breast cancer (BC), significantly affecting their quality of life. We screened Georgian women diagnosed with BC for depressive symptoms to determine their prevalence and examine associations with various sociodemographic and clinical characteristics. This is the first study focusing on mental well-being in patients with cancer in Georgia.

Methods: In a multicenter observational study, 177 women receiving BC treatment were examined at three tertiary oncology hospitals in Georgia. Patient Health Questionnaire 9 (PHQ-9) was used for the identification of depressive symptoms. Patients were stratified using basic information on age, marital status, educational level, social and financial support, employment status, and clinical characteristics.

Results: The average age was 52.9 years (34–77); 117 (66%) were married; 79 (45%) were working, but only 30 (17%) reported having adequate financial status; 128 (72%) had stage I-III disease; and 64 (36%) reported some degree of pain. Using pro-rated PHQ-9 scores, 46 patients (44%; 95% CI, 37–51) reported some level of depressive symptoms while 25 women (14%; 95% CI, 9–19) met the criteria for probable depressive disorder. A higher proportion of patients reporting pain also reported depressive symptoms (37/66, 56%) compared with those reporting no pain (41/111, 34%) ($P = .013$); women with stage IV disease were more likely to report depressive symptoms (26/44, 57%) compared with those with stages I-III (53/133, 40%) ($P = .049$); and single/previously married women (42/60, 70%) were more likely to report depressive symptoms than married women (51/117, 44%) ($P = .001$). Depressive symptom reporting did not differ by age or reported support.

Conclusion: One in six of this sample of Georgian patients with BC had depressive symptom levels consistent with a depressive disorder. Depressive symptoms covaried by marital status, staging, and reported pain. These results can inform practitioner oncologists in Georgia of the needs for psychological support for patients with cancer and assist in building such support services.

Keywords: depressive symptoms, breast cancer, marital status, pain, Georgia

1. Introduction

Breast cancer (BC) is the most common cancer in women worldwide and a leading cause of cancer-related death. In 2018, approximately 2.1 million women globally were diagnosed with BC, accounting for approximately one in four cancer cases among female patients.[1] Over the past decade, the reported incidence of BC has increased with population aging and improved awareness and detection. While treatment advances mean BC mortality rates are and often disrupting family life.[3] Patients frequently report experiencing intensified feelings, such as anger, denial, fear, and worries about death and disease recurrence. Some patients have preexisting mental health difficulties, financial concerns, and family/relationship problems that increase the risk of the emergence and/or intensification of psychiatric disorders, such as depressive disorder.[4,5]

In addition, BC treatment that lasts months to years after their



2023-24 წლებში თამარის აქტივობებიდან გამოირჩევა:

- ფსიქო-სოციალური ონკოლოგიის საერთაშორისო ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია: „დეპრესიის პრევალენტობა, ძუძუს კიბოთი დიაგნოსტირებულ ქალებში, საქართველოში“ (ივლისი-სექტემბრის ნომერში, 2023);

- ფსიქო-ონკოლოგიის საერთაშორისო კონგრესზე (მილანი, იტალია) წარადგინა პოსტერი თემაზე: „კორელაცია სოციო-დემოგრაფიულ ფაქტორებსა და დეპრესიას შორის საქართველოში მცხოვრებ ძუძუს კიბოს მქონე პაციენტებში“;

- საქართველოს კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის საზოგადოების მეორე კონფერენციაზე „კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სამსახურში“ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „კოგნიტურ-ქცევითი ფსიქოთერაპია ონკოლოგიურ პაციენტებში, ანტიდეპრესანტები ფსიქოთერაპიის ალტერნატივა თუ დახმარება?“

საექთნო დეპარტამენტის თანამშრომლების მიღწევები

კლინიკა "კონსილიუმ მედულას" ექთნების საქმიანობიდან აღსანიშნავია შემდეგი აქტივობები:

- ონკოლოგიურ პაციენტებზე ზრუნვის გაუმჯობესების მიზნით, კლინიკის ექთანი ნინო ყრინტაშვილი დაესწრო ESO-EONS-ის მიერ ორგანიზებულ მე-14 მასტერკლასს თემაზე "ონკოლოგიური მედდა", რომელიც გაიმართა ვარეზეში (იტალია) 2023 წლის 06-10 ოქტომბერს.

- კლინიკის ექთნები - ეკატერინე ყიფიანი, ნინო ყრინტაშვილი, სალომე ფაცაცია და აისელ ჯუმაევა 2022 წლიდან არიან საქართველოს ონკოლოგიის ექთნების ასოციაციის წევრები. ისინი 2023-24 წლებში დაესწრნენ არაერთ საგანმანათლებლო და პროფესიული უნარების განმავითარებელ ტრენინგს, ასევე, მონაწილეობა მიიღეს ცნობიერების ამაღლების კამპანიებში.

ხარისხი და უსაფრთხოება

სამედიცინო მომსახურების ხარისხი და პაციენტის უსაფრთხოება ჩვენი კლინიკის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. გვჯერა, რომ ამ სფეროში უმაღლესი სტანდარტების დაცვა გადამწყვეტია ჩვენი მომხმარებლების კმაყოფილებისთვის, ჩვენი თანამშრომლების კეთილდღეობისთვის და ჩვენი ორგანიზაციის საერთო წარმატებისთვის. კლინიკის მხრიდან აღნიშნული მიმართულებით გადაიდგა ნაბიჯები, როგორც ადგილობრივი მოთხოვნების, ასევე საერთაშორისო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, კერძოდ:

წლის განმავლობაში კლინიკამ განაახლა სახელმწიფოს მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად სანებართვო მოწმობები ინტენსიური მკურნალობის/მოვლის, რეანიმაციული მომსახურების, ქირურგიისა და კლინიკური ონკოლოგიის მიმართულებებში, რაც გულისხმობს ინფრასტრუქტურული, ადამიანური რესურსებისა და სამუშაო პროცედურების მიმართულებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისობაში მოყვანას.

საერთაშორისო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად კლინიკა აქტიურად ჩაერთო "აკრედიტაცია კანადას" სააკრედიტაციო პროცესებში, რომელიც მოიცავს ამბულატორიულ, სტაციონარულ, ქირურგიულ, ონკოლოგიურ, რადიოლოგიურ მიმართულებებს. მუშაობა მიმდინარეობს ინფექციის კონტროლის და ტრანსფუზიის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. ყურადღება ეთმობა მართვისა და სერვისის გაუმჯობესების პროცესებს.

ხარისხის კონტროლის გაუმჯობესება

კლინიკამ ჩაატარა ხარისხის კონტროლის გაუმჯობესებისაკენ მიმართული რამდენიმე ღონისძიება, რომელთა მიზანი იყო, პროდუქტებისა და სერვისების დარგის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ეს ღონისძიებებია:

კლინიკური პროტოკოლები და სტანდარტული სამუშაო ინსტრუქციები: საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და სტანდარტული პროცედურების დანერგვა პროცესების უკეთ გამართვის, რისკების მართვის, ადრეულ ეტაპებზე პრობლემების აღმოჩენისა და გამოსწორებისთვის.

უწყვეტი ტრენინგი: უწყვეტი ტრენინგის პროგრამები ჩვენი პერსონალისთვის, რათა მათ გაიღრმაონ ცოდნა და მიიღონ ინფორმაცია ხარისხის მართვის უახლეს ტექნიკებსა და სტანდარტებზე.

მომხმარებელთა უკუკავშირი: მომხმარებელთა გამოხმაურებების შეგროვებისა და ანალიზის ახალი სისტემები საშუალებას გვაძლევს, გავაუმჯობესოთ პროცესები მიღებული მონაცემების საფუძველზე.

პაციენტთა და მათი ოჯახის წევრების მრჩეველთა საბჭო: საბჭო მიზნად ისახავს, გახადოს კლინიკა მეტად ორიენტირებული პაციენტსა და მის ოჯახის წევრებზე, ხელი შეუწყოს პაციენტის უსაფრთხოებისა და სამედიცინო ხარისხის სხვა მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

უსაფრთხოების ინიციატივები

უსაფრთხოება რჩება კლინიკის უმთავრეს პრიორიტეტად. გასულ წელს ჩვენ შემოვიღეთ მთელი რიგი ინიციატივები კიდევ უფრო უსაფრთხო სამუშაო გარემოს შესაქმნელად:

უსაფრთხოების აუდიტი: რეგულარული და საფუძვლიანი უსაფრთხოების აუდიტი პოტენციური საფრთხის იდენტიფიცირებისა და მაკორექტირებელი ქმედებების დაუყოვნებლივ განსახორციელებლად.

თანამშრომლების უსაფრთხოების პროგრამები: უსაფრთხოების ყოვლისმომცველი სასწავლო პროგრამები და სემინარები, რომლებიც მიზნად ისახავს თანამშრომლების განათლებას საუკეთესო პრაქტიკისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცედურების შესახებ.

ინვესტიცია უსაფრთხოების აღჭურვილობაში: მნიშვნელოვანი ინვესტიცია უსაფრთხოების უახლეს აღჭურვილობაში ჩვენი სამუშაო ძალის დასაცავად და ავარიების რისკის შესამცირებლად.

სამომავლო მიზნები

მომავალში ჩვენ მიზნად ვისახავთ, კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტები:

ინოვაცია პროცესებში : პროცესების მუდმივი გაუმჯობესება ტექნოლოგიური მიღწევებისა და ინოვაციური პრაქტიკის მეშვეობით.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობა : დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდა, რაც გამოიწვევს ხარისხისა და უსაფრთხოების შემდგომ გაუმჯობესებას.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ინიციატივები

კიბოს პრევენციის , დიაგნოსტიკის და მკურნალობის ცნობიერების ამაღლება

საქართველოში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, კიბოს სახელმწიფო უფასო სკრინინგში ჩართული მოსახლეობის დაბალი პროცენტული მაჩვენებლის და შორს წასული შემთხვევების მნიშვნელოვანი რაოდენობის გამოვლენის გათვალისწინებით, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, მუდმივად გვქონდეს კომუნიკაცია კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით. შესაბამისად, ამ მიზნით, ჩვენ მუდმივად ვაზიარებთ სხვადასხვა საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალას, ბლოგების, სტატიების, ინფოგრაფიკის და სხვა ფორმებით.

2023-2024 წელს ჩატარდა აქტივობები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის:

სკრინინგის პროგრამების პოპულარიზაცია

კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამების კომუნიკაციას კლინიკა უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს. პაციენტების მოზიდვა ხორციელდება სოციალურ ქსელებში რეკლამირების სხვადასხვა ფორმით და გზავნილით.

2023 წელს "კონსილიუმ მედულაში" სკრინინგის პროგრამებში 1233 პაციენტი ჩაერთო, ჯამურად ჩატარდა 1571 სკრინიგი.

2024 წელს ექვსი თვის მონაცემებით "კონსილიუმ მედულაში" სკრინინგის პროგრამებში 828 პაციენტი ჩაერთო, ჯამურად ჩატარდა 1057 სკრინინგი.

სკრინინგის ცნობიერების ამაღლების კამპანია.
მარტი, 2023

ცნობიერების ამაღლების თვეები

კიბოს ცნობიერების ამაღლების ყველა თვეს კლინიკის გვერდზე ქვეყნდება შესაბამისი საგანმანათლებლო მასალა.



კიბოს მსოფლიო დღე

კიბოს მსოფლიო დღის აღსანიშნავად აქცენტი გაკეთდა საზოგადოების ინფორმირებაზე მკურნალობის თანამედროვე მეთოდების შესახებ. „კონსილიუმ მედულამ“ 2024 წელს მთავარ თემად იმუნოთერაპია შეარჩია და მთელი თვის მანძილზე აწვდიდა საზოგადოებას ინფორმაციას მკურნალობის ამ მეთოდის შესახებ. მომზადდა ბლოგი და რამდენიმე გრაფიკული ვიდეო*.

*იხ. ბმულები:
https://medconsilium.ge/ka/oncology/mkrunalobis-metodebi/imunoterapia
https://medconsilium.ge/ka/blog/2015-imunoterapia-akhali-epoqa-onkologiuri-daavadebebis-mkurnalobashi?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR0xHTAHmYhL-OlHuEaxlEp58SSeA4MMMImr5s8BMtsNAgtpUJmw4eKWhiw_aem_1xBGh2zHEDE-qasUQKkzHw
https://www.facebook.com/Consilium.Medulla/videos/7821928451151189
https://www.facebook.com/Consilium.Medulla/videos/933328034908775

ვარდისფერი ოქტომბერი

2023 წლის "ვარდისფერი ოქტომბრის" კამპანიამ მოიცვა აქტივობები სოციალურ და მასმედიაში, ასევე, ჩატარდა კლინიკის კლინიკური ონკოლოგის, სალომე კორძაიას შეხვედრა სხვადასხვა ორგანიზაციაში დაინტერესებულ ქალთა ჯგუფებთან. კლინიკური ონკოლოგი ადგილზე შეხვდა ქალებს, ესაუბრა ძუძუს კიბოს სკრინინგის მნიშვნელობაზე, ასევე დაავადების პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდებზე, უპასუხა მათ შეკითხვებს.

კლინიკური ონკოლოგი სალომე კორძაია მიწვეული იყო TV პირველის ეთერში, სადაც მან ძუძუს კიბოს მკურნალობის თანამედროვე მეთოდებზე ისაუბრა.

სალომე კორძაიას ვიზიტი ორგანიზაციებში

სალომე კორძაიას ვიზიტი სატელევიზიო ეთერში

კამპანიის ბმულები:
https://medconsilium.ge/ka/news/3014-_konsilium-medulas_-klinikuri-onkologis-salome-kordzaias-shekhvedra-organizatsiebtan-%E2%80%9Evardisperi-oqtombris%E2%80%9C-%C2%A0parglebshi
https://fb.watch/tfxkzRD5Qn/
https://www.facebook.com/Consilium.Medulla/videos/1257248471632879
https://www.facebook.com/Consilium.Medulla/videos/625322903008611

ბლოგები და სხვადასხვა გზამკვლევი პაციენტებისათვის

"კონსილიუმ მედულა" დიდ ყურადღებას უთმობს პაციენტთა განათლებისა და ინფორმირებულობის საკითხს. კლინიკა მუდმივად ამზადებს ბლოგებს, სტატიებს, საგანმანათლებლო ვიდეოებსა თუ სხვა მასალებს, რომლებიც მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდას უზრუნველყოფს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება დაავადებების პრევენციის საკითხებსა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდებზე, ასევე, ისეთ საკითხებზე, რომლებიც ხელს უწყობს როგორც ცნობიერების ამაღლებას, ისე საზოგადოებაში არსებული სტიგმების დაძლევას, მაგალითად, ონკოპაციენტების მენტალური ჯანმრთელობა.

საანგარიშო პერიოდში საგანმანათლებლო მასალებმა მოიცვა ისეთი თემები, როგორიცაა: იმუნოთერაპია, ტარგეტული თერაპია, ძუძუს კიბო, საშვილოსნოს ყელის კიბო, ნევროლოგია და სხვა. ამ მიმართულებით მომზადდა როგორც ბლოგები და სტატიები, ისე ვიდეომასალა.

წელს პირველად შემუშავდა საინფორმაციო ბროშურები კლინიკის პაციენტებისა და მათი მომვლელებისათვის: "ნაწოლების პრევენცია", "თრომბოზის პრევენცია", "დაცემის პრევენცია" და "ტკივილის მართვა". მსგავსი გამოცემებით პაციენტები და მათი მომვლელები იღებენ სანდო ინფორმაციას ჯანმრთელობის იმ ძირითად საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება პაციენტის უსაფრთხოებას და აუმჯობესებს მკურნალობის შედეგს. ეს მასალები ეხმარება პაციენტებს ინფორმირებულობაში, რაც საბოლოოდ გართულებების სიხშირის შემცირებასა და პაციენტთა კმაყოფილების დონის ამაღლებაზე აისახება.

საგანმანათლებლო მასალების და გზამკვლევების განხილვა ხდება პაციენტთა საბჭოს მიერ. 2024 წლის ივნისში გამართულ შეხვედრაზე საბჭოს წევრებმა გამოთქვეს მთელი რიგი მოსაზრებები, შესწორებები და რეკომენდაციები, რომელიც გათვალისწინებულია საბოლოო გამოცემებში.

ბმულები:
https://medconsilium.ge/ka/pacientis-gzamkvlevi/info_pacientebisa_da_momvlelebistvis?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR0HI0edEBoc6wZeN95izgjUvcQRJmH-oBmauGNcOnnGLgx0yhDcn0vpbEI_aem_Pw9B1bEiLm2P6Gxbm2ZdLg

https://medconsilium.ge/ka/blog/2016-rogor-gavumklavdet-umadobas-gimioterapiis-dros?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR3jb85g_4nEtpzT2ZtpKBeFTBbhdlKZctskXIs5TCQaVPtBIXvJzxRtvYI_aem_OIStIFI47bwjStgtVt4gQg

https://medconsilium.ge/ka/blog/2014-piris-grus-problemebi-gimioterapiis-dros

მომავლის ხედვა

კლინიკა "კონსილიუმ მედულას" 2024-2028 წლის სტატეგიული ორიენტირი არის: პაციენტი, პარტნიორები, თანამშრომლები, ხარისხის, განათლებისა და მართვის პროცესების გაუმჯობესება.

თითოეული მიმართულება და მასთან დაკავშირებული მიზნები უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა გამოვყოფთ ისეთ საკითხებს, რომლებიც მოითხოვს განსაკუთრებით დიდ ინვესტიციებს და კლინიკის მთელი გუნდის თავდადებას:

- ახალი შენობის აღჭურვა და დიაგნოსტიკური მიმართულების ინფრასტრუქტურული გაძლიერება;
- საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება 2024 წლის ბოლოსთვის;
- საუნივერსიტეტო სტატუსის მოპოვება 2025 წლის ბოლოსთვის;
- იმუნოთერაპიის მიმართულებით საერთაშორისო სამეცნიერო კვლევაში ჩართვა.

ჩვენ გვჯერა, რომ ყველა მიზნის მიღწევას შევძლებთ ერთიანობით და საქმისადმი თავდადებით. განვითარების ყველა ეტაპზე ჩვენ დავრჩებით ჩვენი მისიის და ფასეულობების ერთგული, ეთიკის უმაღლესი სტანდარტითა და პაციენტის კეთილდღეობაზე ორიენტაციით გავაგრძელებთ სვლას წარმატებისკენ.